F 788 N 12333
ეროვნული ბიბლიოთეკა

ორშაბათი, 4 თებერვალი 1919 წ. ფასი ათი შაური. № 9.

წვლილწადი მესამე.

ჩვენი ქვეყანა

რედაქცია

სამაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე, წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის გინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 9—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 39.

კანტორა

გაზეთის ფასი: ერთი თვით 10 მან. 3 თვით 25 მ.ნ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. უკანა კვერდზე 50 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 12 საათამდე 20 მ., 12 საათის შემდეგ 25 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო.

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის კანტორასთან დაარსდა გაზეთის ფონდი. მოქალაქენო! გააძლიერეთ ფონდი. შეკრიბეთ შეწირულებანი.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

ყოველ დღიური გაზეთ

„ჩვენი ქვეყანა“-ზე

გაზეთის ფასი: ერთი თვით 10 მან. სამი თვით 25 მან. ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდის.

საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ ბრძოლის ველზე გმირულად დაეცა

გრიშა მეგრელიშვილი

დასავლეთ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სტუდენტთა და მოწაფეთა ორგანიზაციი გლოვობს, ამხანაგის

გრიშა მეგრელიშვილის

ბრძოლის ველზე გმირულათ დაღუპვას.

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ თანამშრომლები გულისტკივილით აუწყებენ საზოგადოებას, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ თანამშრომლის

გრიშა მეგრელიშვილის

ბრძოლის ველზე გმირულად დაღუპვას.

ყიბნის გამოცემლობა

„განათლება“

(ქ. ქუთაისში)

აწედის დასაწყისს და საშუალო სასწავლებლებს ყოველგვარ სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე.

მისამართი: ქ. ქუთაისი, თფილისის ქუჩა წიგნის გამომც. „განათლება“.

დავკარგე

31 იანვარს, საღამოს შვიდ საათზე ქუთაისის სადგურზე მატარებელში შესვლის დროს **ვერცხლის საფულე** რომელზედაც იყო სურათი გადაკვალებული ჩემი ქმრის, სახელები ჩემი უბედური შვილების, მრავალი სხვა მონოგრამები. მპოვნელისთვის ის არაფერი გამოსადეგია, ჩემთვის კი უძვირფასესი, უმორჩილესათ ვთხოვ მპოვნელს დამიბრუნოს ვერცხლის საფულე, ფული დაიტოვოს. და კიდევ ჯილდოთ მივართმევ საბას ბანკის. **ლუბა წერეთლისა.** **მისამართი** „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში.

განცხადება.

ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა საბჭო,

ქუთაისის ვაჭარ-მრეწველებს ამით გატყობინებთ, რომ 9 თებერვალს ახალი სტილით ვაჭარ-მრეწველთა საბჭოს ბინაზე დანიშნულია

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წევრების

არჩევნები

არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლია იმ ვაჭარ-მრეწველს, რომელსაც მიმდინარე წლის პირველ ივანობისთვემდე სავაჭრო-სამრეწველო მოწმობა იქნება ხაზინიდგან აღებული.

არჩევნები დაიწყება დილის 9 საათზე.

ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა საბჭო.

10—5

მინისტრ ხომერიკის ლექცია.

ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასე მწირი იქნებოდა მინისტრის ლექცია. მერე კიდევ: არცერთი მისი დებულება არ შეიძლება ჩაითვალოს უდავოდ.

საქართველოში თავადაზნაურთა კვლა—აგრარულ ნიადაგზე წარმოობდაო, განაცხადა. მაგრამ ეს—სავსებით მართალი არ არის. აგრარულ ნიადაგზე აღმოცენებული უკმაყოფილება ეროვნულმა შეღლამ გაამწვავა: ქართლკახეთში თავადების დახოცვა უმთავრესად სომხებისა და ოსების საქმე იყო.

იმავე დროს, უეჭველია, ხსენებული ანარქიის ერთერთ მიზეზად სოციალ-დემოკრატიული მთავრობის სისუსტეც ჩაითვლება.

აგრარული რეფორმის უმთავრესი მიზანი ის არის, რომ გლეხები დაწყნარდენ, დამშვიდდენ და ანარქია ჩაჭრესო, ბრძანა მინისტრმა.

ჩვენი ფიქრით კი, აგრარულ რეფორმასუმთავრესად მეურნეობის გაუმჯობესება უნდა ედვას საფუძვლად.

გლეხებს კი მხოლოდ საღი და მიზანშესაბამი რეფორმა დააკმაყოფილებს.

ამიერკავკასიის სეიმის მიერ გამოცემულმა დეკრეტმა მიწის საკითხი ნახევრად გადასჭრა, ე. ი. თითქმის გადუწყვეტელი დასტოვა, და მაშასადამე, რეფორმის და ბოლოება აუცილებელი იყო, ამიტომ, რაც უნდა ნაკლულოვანი ყოფილიყო საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი, ეროვნულ-დემოკრატიას მაინც მხარი უნდა დაეჭირა.

მაგრამ დამფუძნებელმა კრებამ ხსენებული კანონი, უეჭველია, კვლავ უნდა გადასინჯოს და შეასწოროს.

კანონის უპირველესი ნაკლი ის არის, რომ სამეურნეო მოსახლობას შვიდი დესეტინით საზღვრავს. და მინისტრმა ვერ დაასაბუთა, რომ შვიდი დესეტინა საკმაო იყოს გაუმჯობესებული მეურნეობისათვის.

პირიქით, რაციონალური მეურნეობა მოითხოვს, რომ სამეურნეო მინდორი 8—11 ნაწილად იყოს დაყოფილი და განსაზღვრულ ხანს თვითეულზე სხვაგვარი ჭირნახული ითესოს. განა ეს შესაძლებელია 7 დესეტინაზე?

სოციალ-დემოკრატიული მთავრობის დანაშაული ის არის, რომ ეს საკითხი გამოუძიებლად, ერთი ხელის აღებით, გადასჭრა. მოვალე კი იყო, გამოეძიებია სპეციალისტებისაგან შემდგომი კომისიის საშუალებით: რომელ კუთხეში როგორი ნორმა უნდა დაწესებულიყო, რომ მეურნეობის გაუმჯობესება არ შეფერხებულიყო.

მეორე: მინისტრმა განაცხადა: მიწებს მივყიდით გლეხებს კერძო საკუთრებად, რამდენადაც კი შეიძლება, იფიქრო, მაგრამ ეს, ჯერ ერთი, არ შეეს ბამება სახელმწიფოებრივ ინტერესებს. სახელმწიფომ თავისი ქონება ნამდვილ ღირებულებისდა მიხედვით უნდა გაყიდოს. მეორე: ეს ზომა ეკიდურეს გაჭირვებაში ჩააგდებს გლეხებს, რომელთაც გაუჭირდებათ ერბაშად მთელი გადასახადის გადახდა, და უეჭველია, მევახშეებს ჩაუვარდებიან ხელში. მესამე: მიწების უმეტეს ნაწილს სწორეთ ეს მევახშეები შეიძენენ შეუძლებელ მოვალე გლეხთაგან.

ეროვნული დემოკრატია კი მიწებს, ერთი მხრით, ნამდვილი ღირებულებისდა მიხედვით გაყიდდა და, მეორე მხრით, გაყიდდა არა ნაღდად, არამედ ხანგრძლივი სესხის საშუალებით. ამით გლეხებსაც გაუადვილებდა შესყიდვასა და რესპუბლიკასაც ასარგებლებდა.

მესამე: ყოფილ მესაკუთრეებს არაფერს მივსცემთ, რადგან მათ არა გაუკეთებიათ-რაო, მხოლოდ ფლანგავდენო. მაგრამ მინისტრმა ალბად არ იცის, რომ ყოფილი აზნაურები ახლა მიწებს თავისი ხელით ამუშავებენ და მაშასადამე სასარგებლო მოქალაქეები არიან. და რესპუბლიკას არავითარი უფლება არ აქვს დასჯოს ისინი მამამპაპათა ცოდვათათვის. მეორე მხრით, მოგეხსენებათ, რომ მათ—წინაპრების მიერ ნაანდერძევი კულტურული მოვალეობა (შვილების აღზრდა სასწავლებლებში) აწევსთ მძიმე ტვირთად. დიალ! რესპუბლიკა არ უნდა იყოს ზოგიერთი მოქალაქისთვის დედინაცვლად, მით უფრო, როცა საამისო არა უჭირს-რა.

მეოთხე: ჩამორთმეული მიწების გაყიდვით აღებული ფულით სარწყავ არხებს ვავიყვანთ და ჭაობებს დავაშრობთო, ბძანა მინისტრმა. ვფიქრობ კი, რომ ეს ფული თვით მიწის რეფორმის განხორციელებას დასჭირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება სარწყავი არხების გაყვანასა და ჭაობების დაშრობას, ეს უმთავრესად სახელმწიფოებრივი კრედიტის საშუალებით არის შესაძლებელი.

მეხუთე: გაუმჯობესებული მამულების ჩამორთმევით სამეურნეო კულტურა არ დაცემულა, რადგან გაუმჯობესებულ მამულებს თვით რესპუბლიკა პატრონობსო. მაგრამ ეს არ არის მართალი. ჩვენ ვიცით ასეთი მაგალითი. ალექსანდრე ერისთავს შვიდი დესეტინა დაუტოვეს, დანარჩენი კი წაართვეს, მას დაეხოცა: გაუმჯობესებული ჯიშის ძროხები, ცხენები, ღორები და სხ. მიწათმოქმედების მინისტრს კი ჩამორთმეულსა და გაყიდულ მამულზე არაფერი არ გაუკეთებია — და არ აუშენებია. და საზოგადოდ, თითქმის ყველა ჩამორთმეული გაუმჯობესებული მამული გაყიდულია.

ამგვარად სოციალ-დემოკრატიამ მიწის საკითხი ვერ გადასჭრა მიზანშესაბამად და მაშასადამე მისი გადასინჯვა აუცილებელი იქნება. უეჭველია კი, რომ მხოლოდ ეროვნული დემოკრატია შესძლებს ამ საკითხის სისწორით გადაჭრას.

რაც შეეხება მინისტრ ხომერიკის ლექციას, გულწრფელად უნდა მოვახსენო, რომ სახელმწიფოებრივი თვალთახედვით ვერცერთი მისი დებულება ვერ უძლებს ლმობიერ კრიტიკას.

და ამის შემდეგ კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ მოქალაქე ხომერიკი — მინისტრად არ უნდა იყოს.

კვერი.

საქართველოს მოქალაქენო! დამფუძნებელი კრების არჩევნები მოახლოვდა. არ მისცეთ ხმა სოციალისტურ პარტიებს. გახსოვდეთ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომლის სიაც არის № 2.

სოციალ-დემოკრატები — მენშევიკები და სოციალ-დემოკრატები — ბოლშევიკები.

როგორც ვიცით, რუსეთში მეფობენ დღეს სოციალ-დემოკრატები — ბოლშევიკები, ჩვენში კი სოციალ-დემოკრატები — მენშევიკები.

რა აქვსთ მათ საერთო? ორივე მიმართულება კლასთა ბრძოლის პრინციპიდან გამომდინარეობს. ორსავე მიმართულებას საზოგადოება ერთმანეთის მოსისხარ კლასებად აქვს წარმოდგენილი.

გადაიკითხეთ გაზ. „ერთობის“ უკანასკნელი ნომრები და დარწმუნდებით, რომ ჩვენი სოციალ-დემოკრატები — მენშევიკები სრულიადაც არ ჩაბორჩებიან არაპროლეტარებისადმი ძულებაში სოციალ-დემოკრატებს — ბოლშევიკებს. „სოციალ-დემოკრატია“ პროლეტარების პარტია არისო, გულწრფელად აღიარებს „ერთობა“. და ყველას არაპროლეტარს წყალვაკრულვას უთვლის.

მორიდებით ახსენებს მხოლოდ „გლეხობას“. ამბობს, გლეხი, მართალია, პროლეტარი არ არის, მაგრამ მასაც ცხრა ტყავს აძრობენ და, მაშასადამე, სოციალ-დემოკრატია მასაც ესარჩლებაო.

აქედან გამომდინარეობს შემდეგი. თუ კი გლეხს დიდი მემამულეები აღარ შეავიწროებენ, ე. ი. თუ კი დიდი მამულები დაიკუწებიან და გლეხები მიწით უზრუნველყოფილი იქნებიან, სოციალ-დემოკრატები გლეხებსაც მტრებად გამოაცხადებენ; რადგან, ერთი მხრით, ისინი ქონებრივად დაჩაგრული აღარ იქნებიან, და, მეორე მხრით, გლეხები, როგორც კერძო მესაკუთრენი, წინააღმდეგნი იქნებიან პროლეტარების, რომელნიც კერძო საკუთრებას უარჰყოფენ.

და ის დრო, როდესაც სოციალ-დემოკრატია გლეხობას გადუდგება, უეჭველია, მაღე დადგება: საქართველოში დღეს დიდი მამული აღარვის აქვს და მთელი მიწაწყალი მიწისმუშათა ხელში გადავიდა.

მაშასადამე, ჩვენი სოციალ-დემოკრატები რომ გლეხებს ეფერებიან, ეს — ორპირობაა, არაგულწრფელი მოფერებაა: პროლეტარიატის პარტია, რომელიც კერძო საკუთრებას უარჰყოფს, გლეხობის მეგობარი ვერ იქნება.

უკვე კარლ მარქსი — სოციალ-დემოკრატიის მამათ მთავარი — სწერდა (იხილე სხვათა შორის მისი „კომუნისტური მანიფესტი“): სოციალური რევოლიუციისათვის საჭიროა, ძალაუფლება პროლეტარებმა ჩაიგდონ ხელშიო.

ლენინმა ეს ანდერძი უკვე განახორციელა, რუსეთში დღეს ძალაუფლება საქარხნო მუშების საბჭოების ხელშია, კერძო საკუთრება გაუქმებულია, და მთელი ქონება საერთო, სახელმწიფოს საკუთრებად არის გამოცხადებული. და ძალა-უფლების ხელში შესარჩენათ მუშათა საბჭოებმა სამმილიონიანი ჯარი შეადგინეს, ურჩნი და მეამბოხენი გაჟლიტეს და დანარჩენ ხალხს თავს შიშის ზარი დასცეს, დღეს იქ კერძო სავაჭრო სახლი და ქარხანა აღარვის აქვს. მაღაზიები მხოლოდ ნომრებით განირჩევიან ერთმანეთისაგან და თვითეულმა მოქალაქემ საჭირო საგნები მხოლოდ ბარათებით უნდა მიიღოს.

და, თუმცა საშინელი ბოროტმოქმედება და სპეკულაციაა გამეფებული სასურსათო კომიტეტებში, მაგრამ მთავრობა სასტიკი სასჯელებით ცდილობს წესიერება დაამყაროს და ხსენებულს, ისტორიის პირველიდროისებურს კომუნისტურ წესწყობილებას საფუძველი ჩაუყაროს.

სოციალისტურ-კომუნისტური მიმართულება ჩვენს სოციალ-დემოკრატებსაც, უეჭველია, ბოლშევიზმისკენ მიაქანებს: მათაც ისა სწამსთ, რომ ძალა-უფლება პროლეტარიატის, ე. ი. სოციალ-დემოკრატიის, ხელში უნდა იყოს; მათაც ისა სწამსთ, რომ ყველა სხვა კლასი, რომელიც კერძო საკუთრებას იცავს, მტერია პროლეტარიატის. მათაც ისა სწამსთ, რომ ყველაფერი, მიწაწყალი, ქარხნები, სახელოსნოები, ხვადაგი, ბანკები, კაპიტალები, — საერთო, საზოგადო უნდა იყოს. მაშასადამე, ისინი მთელის თავისი შეგნებით თანაუგრძნობენ ბოლშევიკებს.

ჩვენ ვიცით, მაგალითად, გულისფანცქალით რომ ელოდენ გერმანიაში სოციალისტურ გადატრიალებას.

მაგრამ მათდა სამწუხაროდ გერმანიამ მათი იმედი არ გაამართლა და სოციალიზმი (იგივე ბოლშევიზმი) უარჰყო.

მაშ რატომ არ განახორციელეს ჩვენმა სოციალდემოკრატებმა ჩვენში კომუნა, ე. ი. მთელი უძრავის და მოძრავი ქონების განსაზოგადოება? მიტომ, რომ კარგად იციან რომ ჩვენი ერის უდიდეს ნაწილს-გლეხობას-კერძო საკუთრება სწამს, და, მაშასადამე, როგორც კი სოციალიზმის განხორციელების საქმეს შეუდგებოდენ, გლეხობა მათ იმ წამსვე ჩამოშორდებოდა.

აი ამის ერთი მაგალითი. დიდ მემამულეებს მიწები ჩამოართვეს და ეს მიწები სახაზინოდ გამოაცხადეს. გლეხობა ამის წინააღმდეგ ამხედრდა. და მთავრობა იძულებულია ხსენებული მიწები გლეხებს კერძო საკუთრებად მიჰყიდოს. მაშასადამე სოციალდემოკრატიული მთავრობა ამ შემთხვევაში თავისი პროგრამისდა წინააღმდეგ მოქმედებს.

მაგრამ, უეჭველია, ყველაფერი ეს — საარჩევნო ფანდია. სოციალდემოკრატიას სურს ამით გლეხობის გული მოიგოს. მერე კი, როდესაც დამფუძნებელ კრებაში უმეტესობა ეყოლება და მთავრობაში ფეხს მოიმაგრებს, უეჭველია, ჩვეულებრივ გზას არ დაადგებს და კერძო საკუთრების ნელ-ნელა გინადგურებას შეუდგება.

საიდან დაიწყებს ამ საქმეს? ბანკებიდან, ქარხნებიდან, ქალაქთა შენობებიდან თუ მამულებიდან?! იქიდან დაიწყებს, საიდანაც უფრო მოსახერხებელი იქნება. და ამას რომ იქმს, ცხადად მოწმობს გაზ. „ერთობის“ ამა წლის 22 იანვრის საარჩევნო წერილი, რომელიც პირდაპირ ამბობს, სოციალ-დემოკრატიის მიზანია კერძო საკუთრების გაუქმებაო.

ვისი სისტემა სჯობია? სოციალ-დემოკრატების-ბოლშევიკების თუ სოციალ-დემოკრატების-მენშევიკების? ორივე აგვაშოროს უფალმა. მაგრამ, თუ კომუნიზმი აუცილებელია, მაშინ სოციალ-დემოკრატების — ბოლშევიკების სისტემას უნდა მიეცეს უპირატესობა. რატომ? მიტომ, რომ ეს სისტემა ერთბაშად გამოარკვევს საქმეს: ან გაგვაბედნიერებს და ან ისეთს საშინელებას დაგვატეხს, რომ მალე გამოგვაფხიზლებს და აგვარჩევიებს სწორ გზას.

სოციალ-დემოკრატების — მენშევიკების სისტემამ კი ნელ-ნელა უნდა გამოგვხრას ძვალრბილი და ისეთი არეული წესწყობილება უნდა შექმნას, რომელშიაც აღარც კერძო საკუთრება იქნება და აღარც საერთო.

ერთი სიტყვით, ბოლშევიზმი მით სჯობია მენშევიზმს, რომ ბოლშევიზმი უცოფად სჭრის საკითხს, მაშინ-როდესაც მენშევიზმი ქმნის — ქრონიკულ ანარქიას.

ჩვენ კი, რასაკვირველია, არცერთი მოგვწონს და არც მეორე, რადგან ჩვენ გვწამს, რომ მხოლოდ კერძო საკუთრების საფუძველზე აღმოცენდება თავისუფლება და ეკონომიური, გონებრივი და ზნეობრივი განვითარება.

მაშ, ვისაცა გწამსთ კერძო საკუთრება და უარჰყოფთ სოციალიზმს, არ მისცეთ ხმა სოციალ დემოკრატებსა და სხვა სოციალისტებს, არამედ მიეცით ხმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიას მეორე ნომერს (№2).

ვასილ წერეთელი.

პრესა.

სოციალისტებს, დაწყებული სოც.-დემოკრატებიდან, სოც.-ფედერალისტებამდის აღარ სძინავთ, არც დღე, არც ღამე და სულ ის აგონდებათ „არჩევნებში ვაითუ ეროვნულ-დემოკრატებმა გაიმარჯვონო“.

ნათქვამია „მელას რაც აგონდებოდა, ის ესიზმრებოდა“-ო. ასე მოსდის სოციალისტურ პარტიებსაც. ისე დღე არ გავა, ისე არაფერს დასწერენ, რომ უსირცხვილო დემაგოგიით არ გაუმასპინძლდენ მკითხველებს.

ეს ვაჟბატონები შხამავენ ქართველ ხალხს და არწმუნებენ იმაში, რაც თვითონაც არ სჯერათ. მაგრამ როგორი დემაგოგები იქნებიან სოციალისტების, და კერძოთ სოც.-დემოკრატების „პუბლიცისტები“ თუ ასე არ მოიქცენ.

გაზ. „ერთობის“ მე 26 ნომერში დაბეჭდილია რამდენიმე წერილი და ყველა წერილები თითქმის ჩვენს წინააღმდეგ არის მიმართული. ერთ-ერთ წერილში აი რასა სწერს „ერთობა“:

> ამ არჩევნებში გამოდის კიდევ ერთი პარტია, რომელიც თავის თავს ეროვნულ დემოკრატიულს უწოდებს. მაგრამ ამ პარტიის წარმოდგენით ერი მხოლოდ ხალხის ერთი ნაწილია — მემამულეები და ვაჭრები. (sic)

„ერთობა“ ამ არჩევნების დროს კიდეც ოხუნჯობს.

ჩვენ მუდამ ვებრძოდით სოც.-დემოკრატებს იმ ავადმყოფურ პოლიტიკისათვის, რომელსაც იგი აწარმოებდა. ვებრძოდით მათ, რომ არ სწამდათ ერი, როგორც ასეთი, ვებრძოდით იმისთვის მათ რომ უნდოდათ პროლეტარიატის ბატონობა დაემყარებინათ.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, არასოდეს არ გამოსარჩლებია განსაკუთრებით რომელიმე სოციალურ კლასს, არამედ იგი იცავდა და იცავს ქართველი ხალხის ინტერესებს — მუშა იქნება იგი გლეხი თუ ვაჭარი. ეს უნდა შეიგნონ სოციალ-დემოკრატებმა და აიღონ ხელი ისეთი ცილის წამებაზე და დემაგოგიაზე, როგორსაც ამ არჩევნების დროს აწარმოებენ.

***

ყოფილი ჩვენი ამხანაგებიც „სალი კლდიდან“ გვედავებიან და ქართველ ხალხს ურჩევენ, რომ არჩევნების დროს ხმა მისცენ „ეროვნულ“ პარტიას ე. ი. № 8.

ჩვენ ამ მემარჯვენე აგრარიელთა ჯგუფს, პარტიას ვერ ვუწოდებთ, რადგანაც ამ ჯგუფის სულის ჩამდგმელნი შემორჩენილი არიან მხოლოდ გაზ. „სალი კლდის“ გარშემო და აქედან ცხადია, ეროვნულ-დემოკრატიული ეროვნული-ეროვნული ეროვნული-ეროვნული ეროვნული-ეროვნ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გობარ ჯარის კაცებმა გუშინ ჩამოასვენეს რიონის სადგურზე, საიდანაც ღ. ჩოხატაურში წაასვენეს.

→ როგორც ბათომიდან ჩამოსულები გვატყობინებენ ბათომში ინგლისელებს განზრახვა ჰქონიათ ბათომში არსებული საველე და სამთო ზარბაზნები დენიკინის ჯარს გაუგზავნონ.

პარტიული კრება. 31 იანვარს, დ. ბაღდათში მოხდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კრება. კრება დამფუძნებელი კრების არჩევნების ტეხნიკურ მხარეს გააცნო გ. სახანბერიძემ.

→ ქურდობა. 1 თებერვალს ღამის 12 საათზე ბაღდათში მცხოვრებს დავით მინაძეს მოპარეს სამბულიდან ერთი ულელი ხარები.

→ გუბერნიის კომისრის გამგზავრება. ქუთაისის გუბერნიის კომისარი ბ. სულაქველიძე, 2 ამა თებერვალს, თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის დეპეშისა თბილისს გაემგზავრა სამსახურის საქმეების გამო. დროებით მას მოვალეობას შეასრულებს ქალაქის გამგეობის წევრი ბ. გეგელაშვილი.

→ გაცარცვა. სენაკის მაზრის კომისარი ატყობინებს გუბერნიის კომისარს, რომ 17 იანვარს, რამდენიმე შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველი დაესხა იაკობ თობრიაშვილს და წაიღეს 710 მანეთი.

→ მკვლელობა. სენაკიდან იტყობინებიან, რომ სოფ. ჩუმატოხის მცხოვრებმა ბაგრატ კიკალეიშვილმა, მოკლა თავისი მეზობელი თეოფილე ხურცილავა მკვლელი შეიპყრეს.

→ დაპატიმრება. გუბერნიის კომისარის განკარგულებით ადმინისტრაციული წესით სამ-სამი თვით დააპატიმრეს: აკაკი ცომაია, ნესტორ მესხია და ნიკოლოზ ძაგნიძე, როგორც არა საიმედო პიროვნებები და შემჩნეული სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებაში. აგრეთვე სომხებს არშაკ ოგანჯიანცს და ქრისტეფორე ხაჩკავანას, როგორც მავნე პიროვნებებს საქართველოს რესპუბლიკის, გაუგრძელდათ სასჯელი სამ თვემდის.

→ ქურდობა. სამთო უბნის კომისარმა დააპატიმრა ნინო ახვლედიანი, რომელსაც ბრალდება თამარა დარახველიძის სახლიდან, სადაც ის მსახურებდა სხვა საოჯახო ნივთების 2000 მან. ღირებულების და 969 მ. ფულათ მოპარვა. ქურდი დანაშაულობაში გამოტყდა.

გაცარცვა. კვირას 4 თებერვალს ორპირის ქუჩაზე ბოროტ-გამზრახველებმა გატეხეს ფეხსაცმელების ხავაჭრო მაღაზია და წაიღეს დიდძალი საქონელი, რომლის რაოდენობა ჯერ გამოურკვეველია. ეჭვით დააპატიმრეს რამოდენიმე პირი.

პატარა ფელეტონი.

რაკალიდან:

პარტიული მიტინგები.

III.

ფედერალისტთა ბანაკში.

დარბაზი ელექტრონით განათებული იყო, როდესაც ფედერალისტთა ბანაკში შევედი.

ალისფერი დროშები, რაც რევოლუციამ წარმოშვა, უფრო მეტი აღმოჩნდა ვინემ მამაკაცები.

დარბაზი გაჭედილი იყო მოწაფე ქალებით.

ქალები ახალგაზდური ცელქობით მოელოდენ ორატორს.

ტრიბუნაზე მოულოდნელათ გაჩნდა ახალგაზდა ყმაწვილი.

ყმაწვილი, რომელსაც მთელი სახე შეპუდრული ჰქონდა.

ჯერ ორატორს არაფერი უთქვამს.

მოწაფე ქალებმა შეჰქმნეს დაუსრულებელი ტაშის ცემა...

* * *

უკვე სიწყნარეა.

ორატორმა პირი გააღო:—

ფედერალისტთა პარტია
ორ ჯგუფად გაიყარაო
ორივე ჯგუფმა თავზედა
ნაცარი დაიყარაო.
ალიოშა და მაშვრალნი
ცალკე გაიქცენ ნაკადით.
თედო გრიგოლი და შოთა
უკან მისდევენ ნაკადით.
შესდექი ძმაო ალიოშ
ნუ გვიზამ ამ გვარ მტრობასო
და თუ მთავრობა ხელთ ვიგდეთ
შენც მოგცემთ მინისტრობასო.
თუ არა გფიცავთ დედის რძეს
გრიგოლ შოთა და თედორ,
ისე დაგზელამთ, რომ გარეულ
აწ ველარ გაიხედორ.

ამხანაგებო!—აი ის სიტყვები, რასაც თქვენ ყოველივე ფეხის გადადგმაზე გაიგონებთ.

მართალიც არის.

ჩვენ, ფედერალისტებს ხელიდან გაგვისხლტა ძვირფასი ამხანაგი. იგი ერთად ერთი მედგარი დამცველი იყო ჩვენი პარტიისა.

მას თან გაპყვა მაშვრალნი მთელი ქვეყნისა.

დავიღუპენით.

დაცარიელდა ჩვენი პარტია.

იშლება მტკიცე ორგანიზაცია.

ჩვენი ამხანაგებიდან,—ბევრი სხვა პარტიებში ეწერებიან.

მაგრამ არ შეშინდეთ ამხანაგებო.

არც ისე ცუდათ არის საქმე.

მოწაფეები, რომლებმაც ვარლამის რჩევით, სასწავლებიდან თავი დაითხოვეს,—ყველა ჩვენია.

ისინი უკვე გაეშურენ სოფლებისაკენ, ეწევიან დემაგოგიას, რომ გლეხებმა ეროვნულ-დემოკრატებს ხმები არ მისცენ.

მაგრამ ამხანაგო ქალწულებო, თქვენ კარგათ იცით ჩვენი ამხანაგ მოწაფეების ამბავი.

ისინი დაუდეგარნი არიან. სოფლებში მარტოთ ვერ გასძლებენ.

ამიტომ თქვენც უნდა დაინძრეთ.

ხვალიდან თქვენც დაანებეთ სწავლას თავი და მიაშურეთ ამხანაგ მოწაფეებს სოფლად.

რად გინდათ სწავლა.

ჩვენი—ფედერალისტების უკანასკნელი ჟამი დგება...

თუ ეხლა ჩვენ არჩევნებში დავმარცხდით:

მშვიდობით მამულო...
მშვიდობით დედულო...
მშვიდობით ფედერაცია...
მშვიდობით სოციალიზაცია...
მშვიდობით სოციალიზმო...
მშვიდობით ინტერნაციონალიზმო...
მშვიდობით მინისტრობა...
მშვიდობით გამოთრობა...

მადმაზელებო! ასე არის ჩვენი საქმე.

არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატები იმარჯვებენ, რომელნიც წინააღმდეგნი არიან თქვენი თავისუფლებისა.

თქვენ მათ უნდა შეებრძოლოთ, მთელი თქვენის ენერგიით, მთელი თქვენის სიმძლავრით, მთელი თქვენის მომხიბვლელობით, მთელის, მთელის მთე.....

და ფედერალისტთა შეპუდრილი ორატორი ტრიბუნაზე წაიქცა.

მოწაფე ქალები შისცვინდენ.

„ხალხის მეგობრის“ რედაქციაში შეიყვანეს.

* * *

არვიცი, მოაბრუნეს თუ არა გულწასული ორატორი, მაგრამ „ხალხის მეგობრის“ ფურცლებზე ჯერ არ ყოფილა აღნიშნული ხსენებული ორატორის „ტრაღიკულათ“ გარდაცვალება.

ისკანდერ—ბეგ.

გრიშა მეგრელიშვილი

მეომარი გმირანი.

მეომარი—მგოსანი მსხვერპლად შეეწირა სამშობლო მხარეს.

გმირული აღფრთოვანებით, ვაჟკაცური მხნეობით იგი წინ გადაეღობა მოსისხლე მტერს, მისი სატრფოს ლეჩაქის დაფლეთა, რომ სურდა.

იგი მამაცურად დაუხვდა მტერს და „მტრის მკერდში ხმალი აამგოსნა, სატრფოს მაგიერ ვნებით ჰკოცნა ტყვიებს ჯადოსნებს“.

მაგრამ ნუხანათმა მტერმა მას სიცოცხლე გაწოასალმა.

აღარა გვყავს:—

გრიშა მგოსანი.

გრიშა მეომარი.

გრიშა პატრიოტი.

გრიშა ხალხის მესაიდუმლე.

მისი ნაზი, მაგრად ცოცხალი თვალები სიყვარულის ცეცხლით იყო აღვსილი.

და ეს სიყვარული ეკუთვნოდა სამშობლოს მხარეს.

მისი გული მაგრამ სცემდა და სამშობლოს საზღვრებისაკენ მოუწოდებდა, რომ დაეცვა მუხანათი მტრისაგან.

მისი გრძნობა სათუთი და ნაზი იყო როგორც მისი ლექსები.

იგი ხალხის შვილი იყო და ხალხს თავს დასტრიალებდა.

მახსოვს, ორი კვირის წინად გრიშა, თბილისს რომ გაემგზავრა ლეგიონში ჩასაწერათ.

— სამშობლოს მსხვერპლად უნდა შეეწიროო.

მითხრა გრიშამ გამომშვიდობებისას.

ახალგაზდა ჭაბუკს ?არ დასცალდა დამტკბარიყო ამ ქვეყნის სიტკბოებით.

გიმნაზიის სკამებს მოშორდა თუ არა სტუდენტი გრიშა ჯარში ჩაეწერა.

იგი ყველა ფრონტებზე გმირულად იბრძოდა.

მისი გულმკერდი დამშვენებული იყო გიორგის ჯვრებით.

ამხანაგ ჯარის კაცებში მისი სახელი ლეგენდებურ გმირად იყო მონათლული.

ოფიცრებს იგი ისე უყვარდათ, როგორც მგოსნებს თავისი ლექსები.

მაგრამ გრიშა ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა.

იგი აჩქარებული მებრძოლი იყო და წყუროდა თავისი სისხლი ყველა ფრონტებზე დაეღვარა.

გრიშა მეტად სწუხდა რომ სომხებთან ბრძოლაში მონაწილეობა ვერ მიიღო, რადგანაც მისი ნაწილი ქუთაისიდან არ დაძრულა.

მაგრამ მან გადალახა დაბრკოლებანი, ამოეწერა თავისი ნაწილიდან და ლეგიონში ჩასაწერათ თბილისს გაემგზავრა.

ლეგიონშიდაც შეუდარებელი მამაცობა გამოიჩინა გმირმა მგოსანმა, მაგრამ მუხანათმა მტერმა ქვაბლოვანის ფრონტზე იანვრის 30 იგი ოთხ ადგილას დასჭრა.

იგი ერთ დღეს ებრძოდა ცხელ ტყვიებს და იანვრის 31 სული დალია.

მას კიდევ წყუროდა სიცოცხლე.

მაგრამ მოკვდა გმირულად.

მისი სახელი დაუვიწყარი იქნება სამშობლოს გმირთა პირველ რიგში.

მას არასოდეს არ დაივიწყებს სამშობლო მხარე.

მისი ხსოვნა ჩვენს გულში მარადიული იქნება.

ნიკ. ასათიანი.

† გრიშა მეგრელიშვილი

(მთის ნიავი)

30 იანვარს, მტერთან ბრძოლაში, ქვაბლოვანის ფრონტზე მძიმეთ დაიჭრა სტუდენტი გრიშა მეგრელიშვილი, ხოლო 31 იანვარს დილით გარდაიცვალა. ქართული ლეგიონის ჯარის კაცი, როგორც სხვაგან ისე აქაც, მესხეთში, იბრძოდა როგორც გულწრფელი პატრიოტი და პატიოსანი მებრძოლი.

ჰო, რაოდენ იმედებით იყო სავსე ახალგაზდა მებრძოლი, რომელიც იმედებით მოდიოდა ახალციხეში, ეჯრფოდა მესხეთს და რამოდენიმე დღის შემდეგ კი მსხვერპლათ შეეწირა თავის სატრფოს.

მე მას ვიცნობდი ბავშვობიდან, შკოლის სკამიდან. გატაცებული ჭაბუკი, სავსე მომავლის იდეალებით, რომელიც სცხოვრობდა საზოგადო აზრით, ხალხის ინტერესებით და თავისი წვლილი მოქონდა ამ სამსხვერპლოზე, დაეცა ისე ბრძოლაში, რომ საკმაოდ ვერ იგემა მესხეთის ის მშვენიერი ბუნება, თვალწარმტაცი მშვენიერება, რომლისთვის ასე გატაცებით და თავდადებით იბრძოდა.

ის არ იყო ჩემი პარტიული ამხანაგი, მარა იყო მეგობარი, ძვირფასი მეგობარი, რომელთანაც ბევრი, ძალიან ბევრი გაქვს ცხოვრებაში ადამიანს.

მახსოვს გატაცებული ახალგაზდობა შკოლის სკამზე, მათ შორის კი პატარა, ცოცხალი და ყველას საყვარელი გრიშა, რომელიც თავის მოხდენილ ლექსებით გვატკბობდა და მასში კი ამხანაგები ვხედავდით უტყუარ ნიჭს.

შკოლის სკამიდან დაშორებულნი ერთმანეთს შევხვდით ყაზარმაში და აქაც ცოცხალი ჭაბუკი თავის ძველი მხიარული და მომხიბვლელი ქცევით ჯატორდულ პირობებს ძველი ჯარის კაცისავით თავის ქცევით გვიმსუბუქებდა.

რა ვიცოდი თუ, აქ, ძველ მესხეთში, რომელიც მხოლოდ ისტორიიდან გვიყვარდა, დავტოვებდი ობოლ საფლავში მეგობარს, გულითად მეგობარს.

მშვიდობით ძვირფასო გრიშა, შენი სახე მუდამ თვალწინ მექნება ამ უბედურ მესხეთში, რომელიც დაუსრულებელი პარტახია და ამ პარტახში კი ჯერ კიდევ მონები, ბნელით მოცული მონები სცხოვრობენ.

ვაი, რომ ამ სიბნელემ შენს სიცოცხლით მფეთქავ გულს ლახვარი ჩასცა და განგმირა. „გან. მესხეთი.“

მეგობარი.

ექვთიმე თაყაიშვილის სიტყვა

პარლამენტის დათხოვის გამო.

მოახლოვდა დამფუძნებელი კრების არჩევნები და ამის გამო ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ შევსწყვიტოთ პარლამენტის სხდომები. მე ვამბობ შევსწყვიტოთ და არა სულ დავითხოვოთ პარლამენტი; ჩვენ ისეთ დროს ვცხოვრობთ, არ ვიცით თუ რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე. ამიტომ ადვილად შეიძლება დაგვჭირდეს პარლამენტის მოწვევა დამფუძნებელი კრების შეკრებამდის. თუ ასეთი საჭიროება დაგვიდგა, პრეზიდიუმი დაუყოვნებლივ მოგიწოდებთ. მაგრამ არა ვგონებ პარლამენტის მოწვევა დაგვჭირდეს და ეს ამჟამად არც სასურველია, ამიტომ გთხოვთ დღესვე მიიღოთ წინადადება, რათა დამფუძნებელი კრების მოწვევის დღიდან ეს პარლამენტი დახურულად იყოს აღიარებული და მისი სესია დამთავრებულად. ამას გარდა, როგორც სამართლიანად დაყენა კითხვა პარლამენტის წევრმა ლომ-

თაოიძემ, აქვე უნდა გადაწყდეს, თუ ვინ უნდა მოიწვიოთ დამფუძნებელი კრება. მეცხრე თვეა რაც ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოიშვა, მეცხრე თვეა რაც ჩვენი პარლამენტი არსებობს ამ ცხრა თვის განმავლობაში პარლამენტს შესვენება არ უნახავს. მისი მუშაობა ინტენსიური იყო. თქვენ იცით, თუ რა საბედისწერო დროს შევქენით საკუთარი სახელმწიფო. ქართველ ერს ფიზიკური განადგურება ადგა კარს: ჩვენმა პარლამენტმა და მისმა მთავრობამ შესძლო გადარჩენა ერისა განადგურებისაგან. შესძლო ჩაქრობა, შინაგან ანარქიისა, შესძლო დაბრუნება დაკარგული მაზრებისა, შესძლო მოგერება და დამარცხება ვერაგულად თავზედამცემი მტერისა, შესძლო გატარება ცხოვრებაში უაღრეს მნიშვნელოვან რეფორმებისა, როგორც არის მაგალითად ერობის შემოღება, აგრარული რეფორმა, სკოლების გამრავლება, სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნა, ნაფიც მსაჯულთა კანონების გამოცემა და სხვა. პარლამენტს ბედმა არგუნა დაედგა საფუძველი დემოკრატიულ რესპუბლიკისათვის. მოეწყო სახელმწიფო აპარატი. გამოეცა ახალი კანონები და შეექმნა ახალი ნორმები, სულ 92 სხდომა ჰქონდა პარლამენტს. შემოვიდა 243 კანონ პროექტი. განხილული და მიღებულია 162. ამ რიცხვში არ შედის დღევანდელ სხდომაზე მიღებული კანონები. ოცი სხვადასხვა კომისია მუშაობდა ჩვენს პარლამენტში. მათ წორის 15 დიდ მნიშვნელოვანი იყო და ზოგს მათგანს კვირაში ხუთჯერ უბდებოდა შეკრება. ფრაქციათა რიცხვი 12 იყო.

ჩვენი პარლამენტის სასარგებლოდ უნდა ითქვას: მიუხედავად მრავალი პარტიებისა და სხვადასხვა მიმართულებისა მთავარ საკითხებში, რესპუბლიკისათვის დამოუკიდებლობის მოპოვებაში, ანარქიის ჩაქრობაში და გარეშე მტერის მოგერებაში პარლამენტი ყოველთვის ერთსულოვანი იყო. აქ პარტიები აღარ სჩანდა, პარლამენტის სასახელოდ კიდევ უნდა ვსთქვათ, ამ ცხრა თვეს წესიერება ერთ ხელაც არ დარღვეულა ჩვენს საკრებულოში, ვგონებ ეს იშვიათი მოვლენაა სხვა სახელმწიფოების პარლამენტის ცხოვრებაში. არც ერთხელ არ ყოფილა შემთხვევა თავმჯდომარე პარლამენტისა იძულებული ყოფილიყოს რომელიმე წევრი შეეზღუდოს სიტყვის ჩამორთმევით, კრებაზე დასწრების აკრძალვით ან დარბაზის დატოვებით. ყველა ეს იმის მომასწავებელია, რომ ჩვენი ქართველი ხალხი მომზადებულია პარლამენტარული წეს-წყობილებისათვის, ჩვენს პარლამენტის წევრებს თავის მოვალეობა და ღირსება კარგათ ესმოდათ. ვინ იტყვის ასეთ სწრაფის და ინტენსიური მუშაობის დროს ჩვენ შეცდომები არ მოგვდიოდა, ჩვენს მუშაობას ნაკლი არა ჰქონდა, მაგრამ ამას ყველას შეასწორებს და შეავსებს ჩვენი დამფუძნებელი კრება, რომლის თავი მიზანი იქნება განამტკიცოს თავისუფლება სახელმწიფოისა, შექმნას კონსტიტუცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და მტკიცე ნორმებში ჩამოაყალიბოს მისი შინაგანი წესწყობილება. მე დარწმუნებული ვარ ამას ღირსეულად შეასრულებს მომავალი დამფუძნებელი კრება. ხოლო ეხლა გთხოვთ მიიღოთ ასეთი წინადადება:

1. პარლამენტის სხდომები შესწყდეს 31 იანვრიდან ამა 1919 წ.

2. პარლამენტი დათხოვნილად ითვლება დღიდან დამფუძნებელი კრების შეკრებისა. დამფუძნებელ კრებას იწვევს პარლამენტის პრეზიდიუმი და პარლამენტის ცენტრალური დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისია.

(კრება ერთხმად იღებს წინადადებას).

ვაცხადებ რა კრებას დახურულად, არ შემიძლია არ შემოგძახოთ: „გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მის მომავალ დამფუძნებელ კრებას!

სიტყვა

თქმული ალ. გარსევანიშვილის მიერ მუსიკალურ შკოლის გახსნის დღეს

ბ—ბო! ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვა ვთქვა დღევანდელი დღესასწაულის შესახებ. დღეს საძირკველი ჩაეყარა ისეთ კულტურულ და განმანათლებელ დაწესებულებას, რომლის მზგავსი ჯერ ქუთაისში არ ყოფილა. ესაა ის მუსიკალური შკოლა, რომელიც დღეს გაიხსნა. ეს დღე განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალაქ ქუთაისის განვითარების ისტორიაში.

მუსიკალური შკოლის დაარსებაზე კაი ხანია რაც ადგილობრივი საზოგადოება ოცნებობდა და საბედნიეროდ ჩვენდა ეს ოცნება უკვე სინამდვილეთ გადაიქცა:

დაწვრილებით ლაპარაკი იმის შესახებ თუ რა მნიშვნელობა აქვს მუსიკა-გალობას ხალხის ცხოვრებაში, მე ზედმეტად მიმაჩნია. ეს ყველა თქვენგანმა კარგად იცის და კარგადა გრძნობს; ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ საერთოდ მუსიკა ცხოვრების დამამშვენებელია; მუსიკის გავლენა ჩვენ ბუნებაზე პირდაპირ უსაზღვროა: იგი აკეთილშობილებს ადამიანს, ასპეტაკებს მის სულსა და გულს; მუსიკა-გალობა ალმობიერებს სასტიკ ადამიანს და გმირულ გრძნობას უღვიძებს სულით დაცემულ არსებას.

ამ ხელოვნების გავრცელება ქართველთა შორის ძალიან საჭიროა. მოგეხსენებათ, რომ მუსიკა გამომხვატველია ხალხის სულიერ შემოქმედებისა; ამ მხრივ ქართველმა ერმა წარსულში მალალი მუსიკალური ნიჭი გამოიჩინა

მართალია, ჩვენ შორის ამ ჟამად ცოტაა მუსიკა-გალობის ნამდვილი მცოდნე, მაგრამ ეს მოვლენა, ჩემი ღრმა რწმენით, დროებითი მოვლენაა: ამ გარემოებას ნუ მიაწერთ თანამედროვე ქართველების მუსიკალურ უნიჭობას. ჩვენ ვართ ღვიძლი შვილნი იმ ერისა, რომელმაც შექმნა ხალხური მუსიკა-გალობა და მისცა მას თავისებური ელფერი. ჩვენმა წინაპრებმა გადმოსცეს შთამომალობას მრავალნაირი საერო სიმღერა და სასულიერო საგალობები. ჩვენმა ხალხმა ეროვნული მუსიკა მიღალ წერტილამდი მიიყვანა: მან შექმნა არა მარტო მელოდია, არამედ ჰარმონია—ხმათა შეთანხმება და რითმი, ყველა, ეს ამტკიცებს ქართველ ერის მუსიკალურ ნიჭს.

ცხადია აქედან, რომ ასეთი ხალხის შთამომავალი ადვილათ შეითვისებს მუსიკა- გალობას და განავითარებს ამ ხელოვნებას დროის შესაფერად.

იშვიათი თანაგრძნობით ვეპყრობით ჩვენ ამ ახალ შკოლას: იგია დასაწყისი დიადი საქმისა; ამ ხელოვნების ტაძარმა უნდა შეიტანოს ჩვენ ცხოვრებაში ახალი სხივი: იგი გაავრცელებს მთელ დასავლეთ საქართველოში ნამდვილ მუსიკა-გალობას, მან უნდა მოახდინოს მუსიკალური ცოდნის დემოკრატიზაცია ფართო მასაში. აი მისი მაღალი დანიშნულება.

ბ ბო! ვუსურვოთ ამ ახალ შკოლას სრული წარმატება; ვუსურვოთ მის მასწავლებლებს და მოწაფეებს მხნეობა და გამარჯვება.

კეთილი იყოს ამ ხელოვნების ტაძრის როგორც პირველი ნაბიჯი, ისე მისი ბოლავალიც.

მუსიკალური სასწავლებლის კურთხევა.

თებერვლის 2, დილის თერთმეტი საათიდან იწყო საზოგადოებამ შეკრება სასწავლებლის შენობაში.

დღის თერთმეტს საათზე გადახდილ იქნა პარაკლისი. მის წინ მღვდელმა ცქიტიშვილმა პატარა, მაგრამ მოხდენილი სიტყვით მიმართა საზოგადოებას აღნიშნა მუსიკის მნიშვნელობა და სასწავლებლის დაარსების საჭიროება.

ამას შემდეგ საზოგადოება გავიდა მეორე დარბაზში, სადაც გამართული იქნა კონცერტი

დაიწყო მოლოცვები. პირველ სიტყვას თვით სასწავლებლის დირექტორი კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე ამბობს: ულოცავს საზოგადოებას სასწავლებლის დაარსებას და თან დასძენს, რომ მათი დაუხმარებლობით, მათი გულგრილობით შეიძლება ეს საქმეც ისე ჩაბალოს რაგორც სხვა ბევრი დაითხოვს დახმარებას.

ბალანჩივაძის შემდეგ ულოცავენ სასწავლებლის დღესასწაულს: ბბ ბი: გარსევანიშვილი, ბლ. ხუნდაძე, მლ. ილ. მაჭარაშვილი, დრ. საზოგადოების სახელით ივ. პურადაშვილი: „ერამატიულ საზოგადოებას არ ყავდა გვერდში დამხმარე, არ იყო მუსიკალური სასწავლებელი, მაგრამ დღეის შემდეგ იმედია, ეს ორი საზოგადოება, ერთი-მეორის საკეთილდღეოთ ხელი-ხელს ჩაკიდებულნი იმოქმედებენო.“

კითხულობენ დეპეშებს: განათლების მინისტრის, მისი ამხანაგის, თბილისის კონსერვატორიის დირექტორის ჩერეპნინისა და ფალიაშვილის, მუსიკალურ სასწავლებლის მთავარ გამგეობის, ქუთაისელ მიტროპოლიტ ნაზარის ლოცვა-კურთხევა, და სხვა მრავალთა.

იწყება კონცერტი.

ესტრადაზე იკრიბება ხორო ბ-ნ მიხ. შარაბიძის ლოტბარობით.

ასრულებენ მწყობრად ლ. სასიამოვნოდ ეროვნულ ჰიმნს. მათ ეგზეკუტებათ მომღერალი ბ-ნი ვარ. ლორთქიფანიძე.

გალობენ: „სადაც ვმოგბილვარ, გავზრდილ ვარ“...

ბ-ნ ლორთქფანიძეს საზოგადოება კარგათ იცნობს, ხშირად მოუსმენია მისი ხმა. მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი ნაკლი: სახის გამომეტყველება. განცდით ძლიერია მისი მუსიკალური ფრაზა, მაგრამ სახე გაურბის განცდას.

ესტრადაზე ნელის ნაბიჯით ადის როიალზე ახალგაზრდა დაჩკვრელი, მოწაფე ქალი: ფანცხავას ასული.

პირველ აკორდებს აღელვება ეტყობა. შემდეგ თანდათან მაგრდება და აღელვებას განცდა და საგნის ცოდნა სცელის. სწრაფად მუშაობენ ქალწულის თითები, და გაძლიერებული forte-თი ითავებს.

მას ცვლიან გაძლიერებულ კვარტეტის მონაწილენი: აუჩქარებლივ აწყობენ პიუპიტრებს, უცდიან მაესტროს.

გამოდის ბ-ნი რიმე, საზოგადოება ტაშის ცემით ხვდება. კვარტეტის მიერ მწყობრათ შესრულებული adagio (მე-17-18 საუკუნის მუსიკა) სრული დამაკმაყოფილებელი იყო. სჩანდა მცოდნე ხელი: საკვირველი იყო წმინდა გადასვლა ერთ მუსიკალურ გამოთქმიდან მეორეზე: forte-დან piano-ზე, კრესჩენდოდან piano-ზე.

დიდი ხანია ქუთაისსა არ მოუსმენია სულიერებული მუსიკა და დაშნურნი ... განაბულნი უსმენდენ დამკვრელნი.

საკვირველია როგორ ... ცოტა დროში ასეთი შეთანხმება: საკმარისი იყო ოდნავ მაესტროს ხელი გაქნევა, რომ დამკვრელთაც ... ნაკარნახევი.

შემდეგ გალობს solo-ს ბ-ნი ვ. ლორთქიფანიძე. არ შეგვიძლია განსაკუთრებით არ აღნიშნოთ ქ-ნ ვანდა კოკოჩაშვილის ასულის დაკვრა როიალზე. შოპენის ბალადა. გრძნობით და განცდით სავსე იყო ყოველი ნოტი.

მუსიკალური ტექნიკა ალმასობდა მის შესრულებაში.

ოცნების სამეფოში სკლრიდა მსმენელი.

უკანასკნელ ნომრათ პროგრამა გაძლიერებულ კვარტეტს აღნიშნავს:

სამხედრო მარში: შუბერტის. ძვირფასი იყო ამ მარშის შესრულება გამოთქმის, ფრაზირების მხრივ. კონცერტში მხოლოდ მოწაფენი იღებდენ მონაწილეობას. ვაშა სასწავლებლის დამაარსებელთ და ხელმძღვანელთ! ვაშა ქართველ ახალგაზდა მუსიკოსებს. დიდი იყო მადლობა საზოგადოებისა ასეთი სიამოვნებისათვის.

ყველანი დაიმედებულნი ბრუნდებოდენ: მუსიკალური საქმიანობა დასავლეთ საქართველოში საიმედო პირთა ხელში ნახეს.

კონცერტის შემდეგ იმავე დარბაზში სასწავლებლის მოწაფეებმა, კონცერტში მონაწილეთა, მუსიკალურ საზოგადოებისა და სასწავლებლის გამგეობის წევრებმა და მასწავლებლებმა ერთად სუფრა გადაიღეს.

ზეიმი დასრულდა შუაღამის ორ საათზე.

ალვაიული.

პროვინციაში მუოფ პარტიის წევრებს.

დასავლეთ საქართველოს დაბა-ქალაქებში და სოფლებში მყოფ პარტიის წევრებს და თანამოაზრეებს ვაცნობებთ, რომ გაზეთის გამოცემა უკვე განვაახლეთ.

ჩვენს კორესპოდენტებს ვსთხოვთ კორესპოდენციები გვიგზავნონ. მუდმივ კორესპოდენტებს გაზეთი უფასოთ დაეთმობა.

კორესპოდენციები უმთავრესათ უნდა ეხებოდეს ეკონომიურ ცხოვრებას, მეურნეობას, ვაჭრობა-მრეწველობას, სოფლის ჭირვარამს და პარტიულ ცხოვრებას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დამფუძნებელი კრების არჩევნების ნსვლელობას.

რედაქტორი — სარედაქციო კოლეგია.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისთვის

ჟურნალზე

„კავკასიის ქალაქი“

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ორგანო

ორკვირეული გამოცემა მუნიციპალური საკითხების შესახებ.

ჟურნალი გამოდის ქართულ-რუსული განყოფ

ჟურნალი ღირს: ერთი წლით 36 მან., ნახევარი წლით — 18 მან., 50 კაპ. სამი თვით 10 მან. ცალკე ნომერი 3 მან.

რედაქცია-და კანტორა იმყოფება: თფილისი, სომხის ბაზარი № 6. ტელეფონი 7-31.

ჩვენს ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი პირნი:

არსენიძე მ., ახატიანი გ., არლუტინსკი გ., ალიბეგოვი გ., ბურჯანაძე ვ., ბროდსკი ბ., ბრიტნევი ა., ბეჟანოვი, ვირსალაძე ს., გიკ ნ., გომართელი ი., გეფშტეინი დ., ვამალეი, დერკოვსკისა კ., ელიავა ნ., ესსენი ა., ირემაშვილი ი., ივანოვიჩი, იაშკოვი, კანდელაკი კ., კიკალეიშვილი პ., კონიევი გ., კლეინი ე., კნაპპი, კალიუჟნი, მამრაძე გ., მადდისონი, მარგველაშვილი ტ., ნანეიშვილი გ., რაზუმოვსკი ვ., რობაქიძე ს., რუხაძე როზანოვი პ., რიჩგორსკი-სავიჩი, ქავთარაძე პ., თოფურიძე, დ., თუმანოვი გ., ონიაშვილი ფ., სიდლაკია ი., სვანიძე ა., საყვარელიძე პ., საბახტარაშვილი კ., სულიაშვილი დ., სმირნოვი მ., შენგელია-ქიაჩელი, შარაშენიძე ვ., ფლონტი თ., ჯაჯანაშვილი ა., ტრეიმანი, ტრივუსი, ფეხნერი ფ., ჩერქეზიშვილი.

მსწრაფლმბეჭდავი „ძმობა“ პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელისა ქუთაისში.